

Nana Gojilashvili

ნანა გონჯილაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Towards the Understanding of the Poem “Morning” by Leonid Aronzon,
Called “Captive of the Hill”**

**„ბორცვთა ტყვედ“ წოდებული ლეონიდ არონზონის ლექსის
„დილა“ გააზრებისათვის**

The central theme and the lyrical hero’s imagination focus on the top of a forested hill. The lyrical hero’s main quest is to discover what lies at the hilltop. The poem provides three answers: “naked child adorns the top of the hill”, or an angel; “it is crowned by the memory of heaven”, and finally, “it is crowned by the memory of God”. The hero's quest leads to a feeling of divine presence, culminating in theophany. Standing at the peak of freedom, the poet is paradoxically a captive of this freedom, a “captive of the hill”.

Keywords: God Search, Vision Cognition

საკვანძო სიტყვები: ღმერთის ძიება, ხედვის შემეცნება

„არონზონის პოეზიის აღმოჩენა ეპოქას ქმნიდა, ერთგვარად – „მეორე დაბადებას“ – წერს ო. სედაკოვა „სტენფორდის ლექციებში“ (სედაკოვა, www...). ებრაელი პოეტის, ლეონიდ არონზონის (1939-1970) შემოქმედებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ე. წ. „საბჭოთა პოეზიასთან“. მისი ლექსები პოეტის სიცოცხლეში არ დაუბეჭდავთ. ბევრი მკითხველისათვის იგი დღემდე უცნობია. ქართულ ენაზე მისი პოეზია თარგმნეს რუსულად ჭანტურიშვილმა და ლულუ დადიანმა.

<p>Утро <i>Каждый легко и мал, кто взошел на вершину холма.</i> <i>Как и легко и мал он,</i> <i>венчая вершину лесного холма!</i> <i>Чей там взмах, чья душа или это молитва сама?</i> <i>Нас в детей обращает вершина лесного холма!</i> <i>Листья дальних деревьев, как мелкая рыба в сетях,</i> <i>и вершину холма украшает нагое дитя!</i> <i>Если это дитя, кто вознес его так высоко?</i> <i>Детской кровью испачканы стебли песчаных осок.</i></p>	<p>დილა ვინც პატარაა, ის ავიდა მთისა მწვერვალზე! ამკობს მსუბუქი და პატარა მთის ტყიან მწვერვალს! მაღლა ვინ იწევს, იქნებ სული ლოცვის მწყურვალი? ბავშვებად გვაქცევს, გვამსუბუქებს მთისა მწვერვალი! ხეთა ფოთლები მოგვაგონებს ბადეში თევზებს, ტყიან მთის მწვერვალს აგვირგვინებს ბავშვი შიშველი,</p>
--	--

<p><i>Собирая цветы, называй их: вот мальва! вот мак! Это память о рае венчает вершину холма! Не младенец, но ангел венчает вершину холма, то не кровь на осоке, а в травах разросшийся мак! Кто бы ни был, дитя или ангел, холмов этих пленник, нас вершина холма заставляет упасть на колени, на вершине холма опускаешься вдруг на колени! Не дитя там – душа, заключенная в детскую плоть, не младенец, но знак, знак о том, что здесь рядом Господь. Листья дальних деревьев, как мелкая рыба в сетях, посмотри на вершины: на каждой играет дитя! Собирая цветы, называй их: вот мальва! вот мак! Это память о Боге венчает вершину холма!</i></p> <p>1966 г. (არონზონი, http...)</p>	<p>და თუ ბავშვია, იქ საიდან და არის ვისი? ბავშვის სისხლშია ამოსვრილი ქვიშნობის ისლი. ყვავილთ კრეფის დროს თქვი: ბალბაა! აი, ყაყაჩო! ეს ხომ ხსოვნაა სამოთხისა, მთის წვერს რომ ამკობს! და ყრმა კი არა, ანგელოზია, რომ შვენის მალლობს! სისხლიც არ არის ქვიშნობის ისლზე, ყაყაჩო ხარობს! ვინც გინდა იყოს, გინდა ბავშვი, გინდ ანგელოზი, მწვერვალი მთისა გვაიძულებს მუხლი ვიყაროთ, იქ, მთის მწვერვალზე დავიზოქოთ, გულით ვილოცოთ! ბავშვი არ არის, ბავშვის სხეულში სული ბინადრობს. ყრმა კი არ არის, ნიშანია, უფალზე გვამცნობს! ხეთა ფოთლები მოგვაგონებს ბადეში თევზებს, ყველა მწვერვალზე თითო ბავშვი თამაშობს, ხარობს! ყვავილთ კრეფის დროს თქვი: ბალბაა! აი, ყაყაჩო! უფლის ხსოვნაა ყოველივე, რაც მწვერვალს ამკობს!</p> <p>1966 (ჭანტურიშვილი, 2021, გვ. 472)</p>
--	---

ლექსის სახელწოდებაა „დილა“, თუმცა, აქ არ ჩანს დროის ეს კონკრეტული მონაკვეთი. პოეტის ლირიკული „მე“ აწმყოში გადმოგვცემს თავის წარმოსახვასა თუ ხილვა-ჩვენებას, რომელსაც არც წარსული აქვს და არც მომავალი. ეს ხდება ახლა, ამ დროსა და ამ წუთს და სულ მუდამ ასე იქნება; ასე წაიკითხება ნებისმიერი ეპოქის მკითხველის მიერ, რათა მუდამ ახალი და ცოცხალი იყოს. ლექსში დრო ზედროულია; მარადიული განიფინება ჟამიერში.

რ. სირაძე აღნიშნავს, რომ „ტექსტის ჰორიზონტალური მდინარეა დროში ხდება, სულიერი ვერტიკალის შეგრძნება კი შეიძლება მყისიერი იყოს. გასტონ ბაშლიარი წერდა, პოეზია წამიერი მეტაფიზიკააო. იგი წამიერებას ეძიებს. ის ქმნის წამიერებას... და მხოლოდ ვერტიკალურ დროში შეყოვნებული წუთით იძენს პოეზია განსაკუთრებულ ენერგიას. არსებობს წმინდა პოეზიის წმინდა ენერგია და იგი განიფინება ვერტიკალურად ფორმისა და პიროვნების დროში“ (სირაძე, 2008, გვ. 8).

არონზონის ლექსშიც ასეა, მხოლოდ „ვერტიკალის შეგრძნება“ ლირიკული გმირისა და მკითხველისათვის ოდენ „მყისიერად“ არ განიცდება; ეს „წამიერება“ მოიცავს მთელ ლექსს და დროის დიდ მონაკვეთზე „განიფინება“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „წამიერება“ დრო-სივრცეს სრულად ფარავს, წამიერება მარადიულ დროს უერთდება და უსასრულობის შეგრძნებას ბადებს.

„კულმინაციის პოეტი“ – ასე მოიხსენებს არონზონს ოლგა სედაკოვა „სტენფორდის ლექციებში“ (სედაკოვა, www...)

ვფიქრობთ, ლექსის სათაურს – „დილა“ – სიმბოლური დატვირთვა აქვს. შინა არსიდან გამომდინარე, იგი რწმენის, სასოებისა და სიყვარულის კარიბჭეა, არა ბუნდოვანი და უკონტურო, როგორც თენება-გზაგასაყარი, არამედ უკვე გაცხადებული და მყოფი „დილა“, თავისი „მზიან-ჩრდილიანი“ ხედვით, იდუმალების მფენი ნათელმოსილებით. ეს დილა მიგვიძღვის საკრალურისა და მისტიკურის ჭკრეტისკენ, რასაც მზის ბრწყინვალეობა ვერ ფარავს. ამ მზისქვეშეთშიც უხილავის ხილვა მზეზე აღმატებული ნათლის („ნათელი ნათელთა შორის“), ზემთასულიერების გაცხადებაა.

ლექსის მთავარი სათქმელი და ლირიკული გმირის წარმოსახვა-ხილვა ბორცვის მწვერვალს, ტყიანი ბორცვის მწვერვალს უკავშირდება, რაც არაერთგზისაა (ათჯერ)

გამოკვეთილი ამ მცირე ზომის პოეტურ ქმნილებაში (როგორც ირკვევა, ბიბლიაში „ბორცვი“ 85-ჯერაა დასახელებული – ბიბლიის სიმფონია, <https://www...>). აქედან გამომდინარე, ო. სედაკოვას აზრით, აქ „...საუბარი ეხება არა უბრალოდ კულმინაციას, არამედ კულმინაციის კულმინაციას“ (სედაკოვა, www...). ამდენად, ლექსის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „ბორცვის მწვერვალი“ კი არა, „ბორცვების მწვერვალები“ ამოიზიდება სტრიქონებს შორის, რომლებიც სიმაღლეებისაკენ წარმართავს მზერასა და ფიქრს; შთაგონებისა და მუდმივი შემართების მდგომარეობაში გვამყოფებს, რათა შევძლოთ ნაგრძნობ-ნასიტყვის წვდომა და შემდგომ მისი მოგუმბათება. აღსანიშნია, რომ ეს სწორედ ბორცვის მწვერვალია და არა – მთისა. როგორც ცნობილია, მთა ბიბლიის (და არა მარტო ბიბლიის) მიხედვით, ღმერთის საუფლოა, თეოფანიის ადგილია, ხოლო მთაზე სვლა სრულყოფილებისაკენ სვლაა. მართალია, არონზონი მთას არ ახსენებს, თუმცა, სავარაუდოდ, ამავე დატვირთვით წარმოსახავს ბორცვსა და მის მწვერვალს. რატომ? ვფიქრობთ, წარმოშობით ებრაელი პოეტისათვის ეს ბორცვი ბიბლიურ და, კერძოდ, იერუსალიმის ბორცვად/ბორცვებად აღიქმება. ცნობილია, რომ თავდაპირველად იერუსალიმი შვიდ ბორცვზე იდგა (ქალაქის ზრდასთან ერთად ამ ბორცვთა რაოდენობაც გაიზარდა), რომლებსაც „იუდეის ბორცვებს“, „იუდეის მთებსაც“ უწოდებდნენ. ბიბლიის მიხედვით კი, ბორცვი/ბორცვები ჰორიზონტალურთან ერთად, უმთავრესად, ვერტიკალური შინაარსითაა გასააზრებელი.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ „დილა“ ერთიანად ძველი და ახალი აღთქმის სფეროებს თავს დასტრიალებს; ხილვაში, თითქოს, ლირიკული გმირის ხედვა ახალი აღთქმის უფალს ჭკრეტს, მაგრამ დაბეჯითებით არაფერი ითქმის; ვარაუდსა და ორჭოფობას კვლავ მისი რწმენისათვის მისაღები შეენაცვლება, მაგრამ მაინც დაშვება ილანდება და არა კატეგორიული უარყოფა ახლისა.

ზემოაღნიშნულს, ვფიქრობთ, ლექსის განხილვა უფრო მეტად გამოკვეთს. პირველივე ტაეპი დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნთა“ გამოძახილია – „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოდ ჯელითა და წმიდად გულითა...“ (ფს. 23, 3-4). ლექსის ლირიკული გმირი, არონზონის მეორე პოეტური „მე“, „ფსალმუნის“ ამ სწავლებას თავისებურად „მოაქცევს“. აქ კითხვა აღარ ჩანს, რადგან იგი დიდი ხნის წინ დაისვა და პასუხიც გაეცა. ამიტომაც ლექსში ლირიკული გმირი უკვე დაბეჯითებით ამბობს, რომ „ბორცვის მწვერვალზე“ ავიდა ის, ვინც „მსუბუქია და პატარა“. სიმსუბუქე, სავარაუდოდ, ყოველგვარი მატერიალურისგან განმარცვას, ქვედამზიდველი ძალებისგან და ბიწიერებისგან თავდახსნას გულისხმობს, ცოდვათაგან განშორებასა და ამ გზით – ამალლებას. რაც შეეხება „პატარას“. აქ იგულისხმება ასაკით პატარა, ყრმა, ჩვილი და არა ფიზიკურად პატარა. ამ ლექსემის („პატარას“) საზრისს, ვფიქრობთ, მხოლოდ ახალი აღთქმის ტექსტი გახსნის. უფლის სიტყვები არაერთგზისაა გაცხადებენ ჩვილთა და ყრმათა უმანკოების, სიწმინდობა-სიმდაბლის ამალეულობას, რომელთაც, განსხვავებით ბრძენთა და მეცნიერთაგან, ეცხადებათ ჭეშმარიტება და რომელთათვისაც ღიაა სასუფეველის კარი – „მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა“ (მ. 11, 25); „მამინ მოჰკუარეს მას

ყრმები, რადთამცა კელი დასდვა მათ ზედა და აკურთხნა ივინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვდეს მათ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათაჲ“ (მ. 19, 13-14). უფალი ასე მოძღვრავს თავის მოსწავლეებს და ამ გზით ჩვენც მოგვიწოდებს, ამ თვისებებით (უმანკოებით, სიწრფელით და სხვ.) ვემსგავსოთ ყრმებს, რათა „ზესთა მწყობრს“ მივეახლოთ და დავიმკვიდროთ სასუფეველი – „მას ჟამსა შინა მოუწდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა? და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა შორის მათსა. და ჰრქუა: ამენ გეტყვ თქუნ: უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა. და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ ესე ვითარი სახელითა ჩემითა, მე შემეწყნარებს“ (მ. 18, 1-5).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გ. ფარულავა წერს – „აქ იგულისხმება ის სიწმინდე სულისა, სიწრფელო და უმანკოება გულისა, რომელიც ერთადერთი მასპინძელია ღვთისა ადამიანის პიროვნებაში... ყველაზე დიდი ჭეშმარიტების კარი ლოგიკური მეცნიერული სიბრძნით კი არ გაიხსნება, არამედ ყრმისებრ ჩვილი გულით“ (ფარულავა, 2005, გვ. 267).

არონზონის სიტყვებს, რომ ბორცვის მწვერვალზე ავიდა „მსუბუქი და პატარა“, სრულად გახსნის პეტრე მოციქულის სწავლება – „განიშორეთ უკუე ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი ზაკუვამ და ორგულეობაჲ და შური და ყოველივე ძჳრის სიტყუაჲ. ვითარცა აწინდელ შობილთა ყრმათა, სიტყვერისა მის უზაკუველისა სძისა გსუროდენ, რადთა მას შინა აჰლორძნდეთ“ (1 პეტ. 2, 1-2).

ლექსის ლირიკული გმირი მომდევნო სტრიქონით, ერთგვარად, განმარტავს პირველს და მზერას, ჩვენი აზრით, ახალი აღთქმის უფალს, იესოს, მიაპყრობს, რომელსაც სხვა ეპითეტებთან ერთად მიემართება „ყრმა“ და „ჩვილი“ (მსგავსად ტრადიციული იკონოგრაფიისა, ღვთისმშობელთან ერთად ყრმა იესოს განსახოვნებისა); კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ბორცვის მწვერვალზე ასული თავისი სიმსუბუქითა და სინოორჩით ემსგავსება მას, ვინც ტყიანი ბორცვის მწვერვალს აგვირგვინებს, ანუ მას, ვინც სასუფეველის კარს აღებს, უპირველესად კი, როგორც ითქვა, ყრმათათვის. ყოველივე ეს იმპერატივითაა აღბეჭდილი (მახილის ნიშანი უზის) და სადაც იმპერატივის ფორმაა, იქ შთაგონებაა. თითქოს ყველაფერი გაცხადდა, მაგრამ კვლავაც კითხვაა, რომელიც იმავდროულად არაერთგვაროვან ვარაუდს ითავსებს – „თუ ვისი ზეაღსვლა, აღმაფრენა, ვისი სულია, თუ ეს თავად ლოცვაა?“ (პწკარედი ჩვენია – ნ.გ.). აქ, შესაძლოა, ახალი აღთქმიდან კვლავაც ძველ აღთქმასთან, საკუთარ საწყისებთან იყოს მიბრუნება. თუმცა, ეს კითხვა და სავარაუდო პასუხები უმაღლეს სფეროს განეკუთვნება – აღმაფრენა, სული და ლოცვა (სულს უკავშირდება ლოცვაც და აღმაფრენაც). როგორც ჩანს, ამის გარკვევას ლირიკული გმირისათვის არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მისთვის ყოველივე ეს მისტიკურს, ზემთაარსს უკავშირდება. და, რაც მთავარია, წარმოსახვა-ხილვაში გაცხადებული უხილავი, ამოუცნობი და დაფარული მხილველის ფერისცვალებას იწვევს – ტყიანი ბორცვის მწვერვალი მის მაცქერალთ (შემყურეთ) ბავშვებად, უმანკო არსებებად გვაქცევს, ყოველგვარი ბიწიერისაგან გაგვწმენდს. ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, კვლავაც ახალი აღთქმისკენ მიბრუნების მანიშნებელია. აქ კიდევ ერთი რამაა საყურადღებო. ლირიკული გმირისათვის მე და ჩვენ ერთიანდება; საკუთარ თავთან გამართული დიალოგი, ამავედროულად დიალოგია მკითხველთან. ის თავის გვერდით მყოფ მკითხველს თანამოაზრედ და თანაგანმცდელად სახავს. და როგორც რ. სირამე ერთგან წერს, „...ესაა გულით შემეცნება აზრისა. ასეთია ანტი-ნომიური შემეცნების გზა, როცა ის ესთეტიკის სფეროში შედის. ამიტომაც შემეცნება „ზიარება“ ამაღლებულთნ (ანუ „შთაგრძნობა“). ამ გზით ყველას ძალუმს თავის თავში „გაიჩინოს“ ღმერთი, იგრძნოს, რომ „სასუფეველი ცათა გულთა შინა არს“ (რ. სირამე, 1987: გვ. 53).

ლირიკული გმირის თვალი წუთით მიწას სწვდება და ბორცვის ტყის შორეულ ხეთა ფოთლებს ბადეში გახვეულ წვრილ თევზებს ადარებს; იგი, თითქოს, რეალობას უბრუნდება, მაგრამ ეს რეალობა ირეალურით სუნთქავს. და ეს ტაეპიც ჯვარსახოვნებით წაკითხვის შესაძლებლობას

ქმნის, კერძოდ, მათეს სახარების მიხედვით, იესომ მეზადურებს, სვიმონსა და ანდრიას, ზღვაში ბადეს რომ ისროდნენ უთხრა: „...მოვედით და შემომიდეგით მე, და გყენე თქვენ მესათხველე კაცთა“ (მ. 4, 19). ამისდა კვალობაზე, ზემოაღნიშნული შედარებით, შესაძლოა, ტყიანი ბორცვის მწვერვალები კაცთა სულების სავანედ, „ბადედ“ დავსახოთ, კაცთა სულებისა, რომელთაც იქ რწმენის ცხოველყოფილობა ამკვიდრებთ. ამგვარ წაკითხვას ლექსის მომდევნო ტაეპი (რომელიც კვლავაც იმპერატიული ტონითაა აღბეჭდილი, ძახილის ნიშნით სრულდება) განამტკიცებს – „ტყიან მთის მწვერვალს აგვირგვინებს ბავშვი შიშველი!“ (პწკარედით – „ამშვენებს“). აქ აღიმართება იაკობის კიბისებრი ვერტიკალი – მიწაზე ბავშვადქცეულნი და „ბორცვის მწვერვალზე“ „შიშველი ბავშვი“, რომელიც მშვენიერებას ჰყენს სივრცეს. ამ სტრიქონში კვლავაც „ფსალმუნის“ სიტყვები ამოიკითხება – „უფალი სუფევს, შუენიერებად შეიმოსა“ (ფს. 92, 1).

„შიშველი ბავშვი“, შესაძლოა, მიემართებოდეს ბავაში დაბადებულ ჩვილს ან, სიმბოლურად, სულის სიშიშველს, მიწიერი „სამოსისგან“ (ხორცისაგან) განმარცვულ, „განშიშველებულ“, უცოდველ სულს (აქ გვახსენდება „აბოს წამება“ – „ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რადთა განვიძარცო შიში ჯორცთა ამათ ჩემთად, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა...“ – საბანისძე, 1963, გვ. 68). ღვთის ნების და ღვთისადმი ტრფობის აღიარებასა და შეუძრავ რწმენას შორეული წარსულიდან „სიშიშველზე“ აპელირებით „ეთანახება“ „თმენის მამა“, იობი – „და თქუა: მე შიშველი გამოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე მუნვე ქუეყანად, უფალმანცა მომცა, უფალმანცა მიმიღო, ვითარცა უნდა, ეგრეცა ქმნა. იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ“ (იობ. 1, 21).

ლირიკული გმირის ცნობიერებაში ხილვა და განხილვა თანხვედრია და მისი აზროვნების წესის გამოხატველი. აქ უფრო მეტად მოძალბებულია ჭვრეტა-განჭვრეტის წადილი, რასაც პიროვნული განწყობა და მზაობა ესაძირკვლება. და კვლავაც კითხვა საკუთარ თავთან და ამ გზით – მკითხველთან – „თუ ეს ბავშვია, ვინ აზიდა იგი ასე მაღლა?“ (პწკარედი ჩვენია – ნ.გ.). იმდენად ნათლად და ცხადად იხილვება ჩვილის სახება, რომ მიწიერ არსებაში წარმოუდგენლის წარმოდგენას დასაშვებს ხდის, თუმცა, ესეც ვარაუდია, კითხვის ფორმით მოწოდებული. აქ არ ჩნდება კითხვა – როგორ აზიდა? აქ მთავარია, ვინ აზიდა, რადგან ის, ვინც ამ სიმალლეზე აზიდა, უმაღლესია. ამავდროულად, შესაძლებელია, არ არსებობდეს ამზიდველი, თავად ჩვილი იყოს აზიდული და ამალღებული.

ლირიკულ გმირთან ერთად მკითხველთანაც ჩნდება კითხვები და სავარაუდო პასუხები. შეგვიძლია, დავსვათ კითხვა – იქნებ „ბავშვი“/შვილი/მე ადის მამასთან? მკითხველისაგან ეს შეკითხვა არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ მომდევნო ტაეპს – „ბავშვის სისხლშია ამოსვრილი ქვიშნობის ისლი“. შესაძლოა, უცოდველის სისხლითაა გაკვალული „ქვიშიანი“, უდაბური გზა... და ლირიკული გმირი წუთით ისეც რეალობას, მიწას, უბრუნდება (და ჩვენც გვაბრუნებს) და ყვავილების კრფისას „სისხლისფერ“ ყაყაჩოსა და ბალბაზე გადააქვს ყურადღება, რაც არაა შემთხვევითი. ყაყაჩო, სიმბოლურად, დაღვრილ სისხლთან რემინისცირდება (როგორ ეხმიანება ეს სიტყვები ლ. ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოების“ სტრიქონს – „ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?“ – ასათიანი, 1979: გვ. 117), ხოლო ბალბა – სიწმინდესა და უმანკოებასთან. და კვლავაც ლირიკული გმირის ცნობიერება „ბორცვის მწვერვალის“ ბავშვს დასტრიალებს და გადაჭრით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გააცხადებს ახალ სათქმელს – „ეს ხომ ხსოვნაა სამოთხისა, მთის წვერს რომ ამკობს!“ („ეს სამოთხის ხსოვნა აგვირგვინებს ბორცვის მწვერვალს!“ – პწკარედი ჩვენია, ნ.გ.). „სამოთხის ხსოვნა“ ადამ კადმონიდან იწყება და მეორე ადამის გზით ყოველი მორწმუნის გულსა და გონებაში ცოცხლობს. იქნებ „შიშველი ბავშვი“ მინიშნებაა „სამოთხის ხსოვნაზე“? სამოთხის ხსოვნა ხომ გულისხმობს სამოთხეში კვლავიმბრუნების ხსოვნასაც, რომელსაც უცოდველი „ბავშვი“/უცოდველი „ყრმა“ განუახლებს/აუწყებს კაცობრიობას. მაგრამ ხსოვნა რწმენაა? ხსოვნის ოპოზიციური წყვილი დავიწყებაა, რაც ბიბლიაში არაერთგზის გვხვდება იუდეველთაგან ღვთის ზურგის შექცევა-დავიწყებასთან დაკავშირებით. ხომ არ იგულისხმება, რომ

რწმენა გაქრა და მხოლოდ ხსოვნაა შემორჩენილი სამოთხისეული უცოდველი ყოფისა, რომელიც ხილვაში ევლინება მისი დანახვის მოსურნესა და სულიერი მზაობის მქონეს? პასუხი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს და არა მხოლოდ ჩვენ მიერ გამოთქმული აღნიშნული ორი ვარაუდი. ეს არა მარტო მკითხველის აზრთა პლურალიზმის გამოა შესაძლებელი, არამედ ამის საფუძველს თავად ლირიკული გმირის შინაგან სამყაროში მიმდინარე ძიების პროცესი, არაერთგვაროვან აზრთა და ვარაუდთა მონაცვლეობა ქმნის. და მართლაც, ლექსის მომდევნო ტაეპში კვლავ იცვლება ლირიკული გმირის აზრი, რომ ბორცვის მწვერვალს „შიშველი ბავშვი“ კი არ „ამშვენებს“, მას „ანგელოზი აგვირგვინებს“ (იქნებ, ანგელოზი მეორედ მოსვლის მაუწყებელია? – ჩნდება კითხვა და მკითხველის წარმოსახვაც ბიბლიური თხრობის დროსა და სივრცეში გამუდმებით ბრუნავს და ტრიალებს). და კვლავაც წინარე წარმოსახვის უარყოფა და გადაჭრით ნათქვამი მოისმის, რომ აქ არაა სისხლი და ეს ბალახში ამოსული ყაყაჩოება! ირეალურის ისევ რეალურით შენაცვლება „სიმორის სიახლოვის“ განცდას ბადებს, თითქოს ზენას სწვდება სული, მაგრამ ხორცი მიწიერს ვერ თმობს, მყარადაა მიწას მიჯაჭვული, „რამეთუ ხორცთა გული უთქუამს სულისათვის და სულსა ხორცთათვის...“ (პავლე 5,17) და „რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ იარაღ...“ (იაკობ. 2, 14, 26). ერთმანეთს ენაცვლება რწმენა, ხსოვნა და დავიწყება. ამგვარი პასაჟები მიწისა და ზეცის, სულისა და ხორცის მჭიდრო კავშირზე მიანიშნებს და ჯვარსახოვანი გააზრებისკენ წარგვმართავს – „ჩვენ უნდა ვეძიოთ სიცოცხლის საზრისი არა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით, ცალ-ცალკე რომ წარმოიდგენენ ხოლმე, არამედ სიცოცხლისეული ამ ორი ხაზის გაერთიანებაში, იქ, სადაც ისინი გადაეჯვარებიან“ (ტრუბეცკოი, 1994, გვ. 293).

ლექსის შემდგომი ტაეპი გვამცნობს, რომ ლირიკული გმირი უკუაგდება ამ განსხვავებულ აზრებს; მისთვის არაა არსებითი ამ ბორცვების „ტყვე“ ბავშვია თუ ანგელოზი, რადგან მთავარი აღსრულდება – იმდენად დიდია ბორცვის მწვერვალის ზემოქმედების ძალა, იმდენად ცხადია მისი საკრალური სივრცე, შთაგონებისა და ამაღლებულობის განცდა, რომ მისი მნახველი იძულებულია მუხლებზე დაეცეს („მწვერვალი მთისა გვაიძულებს მუხლი ვიყაროთ“; პწკარედით – „ბორცვის მწვერვალი გვაიძულებს მუხლებზე დაეცემს“ – ნ.გ.), ღვთაებრივის წინაშე მუხლი მოიდრიკოს. აქ კაცის ნებელობა უკან იხევს და იგი იძულებას ემორჩილება. ისიც, მსგავსად ბავშვისა და ანგელოზისა, ბორცვის მწვერვალის ტყვე ხდება (როგორც შემდგომ თავად არონზონს უწოდებენ – „გამოუვალი კულმინაციის პოეტი, „ბორცვების ტყვე“). არონზონის მეორე პოეტური „მე“ სიტყვაში – „გვაიძულებს“ – მასთან ერთად მყოფებს, მისი სულის თანაზიარტ გულისხმობს (რა თქმა უნდა, მკითხველებს). „იძულება“ უსიტყვოდ აღსრულდება, ადამიანური ნება ღვთიურ ნებას ემორჩილება და ლირიკული გმირი მუხლებზე ეშვება (აქ ორგვარი წაკითხვაა დასაშვები, კერძოდ, მეორე პირში ნათქვამი „მუხლებზე ეშვები“, შესაძლოა, მხოლოდ ლირიკული გმირის ქცევას გამოხატავდეს ან პოეტთან ერთად სხვებიც იგულისხმებოდნენ, ზოგადად, ჩვენ). მთავარი ისაა, რომ იგი ბორცვის მწვერვალზე იყრის მუხლს. როგორც ჩანს, ლირიკული გმირის ამაღლებული განწყობა, მისტიკურის შეცნობის წადილი, საკრალურის გრძნობა-განცდა მისი ფსიქო-სომატური ბუნების ღვთაებრივით განმსჭვალვას, მისი „სმენისა და ხედვის განწმენდას“, კათარზისს იწვევს. იგი, როგორც ლექსის დასაწყისში აღნიშნავს (პწკარედით – „ყველა მსუბუქია და პატარა, ვინც ბორცვის მწვერვალზე ავიდა“, ნ.გ.), ფერნაცვალაია, მსუბუქი და პატარაა. აქ კვლავაც მოვიხიბობთ რ. სირაძის სიტყვებს – „...და როცა კაცი ამას (რომ „სასუფეველი ცათა გულთა შინა არს“ – ნ.გ.) იგრძნობს, იწყება ქრისტიანული კათარზისი. ხოლო როცა ამას მიაღწევს მწერალი, მას თავად ეუფლება მსგავსი განწმენდა“ (სირაძე, 1987, გვ. 53).

ლექსში კიდევ ერთხელ იცვლება არონზონის მეორე პოეტური „მე“ წარმოსახვა – „იქ არაა ბავშვი, მაგრამ ბავშვის სხეულით შემოსილი სულია; არც ჩვილია, მაგრამ ნიშანია, ნიშანია იმისა, რომ აქვე გვერდით დმერთია“ (პწკარედი ჩვენია – ნ. გ.). ეს არის უმაღლესი საღვთო სფერო – სასუფეველი, სულხან-საბას განმარტებით, „სამყარო“ („ესე ცად არს უძრავი და მყარი გარეგან სხვათა ცათა“ – ორბელიანი, 1949, გვ. 297; ანუ უმაღლესი ზეცა, სიმყარის ადგილი, სადაც არაფერი

იცვლება), უმანკო სულთა სავანე („*ბავშვის სხულით შემოსილი სული*“). ამდენად, ლ. არონზონის მეორე პოეტური „მე“, „მსუბუქი და პატარა“, ხილვადქცეული პოეზიით შეიგრძნობს ღვთის მყოფობას, ღვთის სიახლოვეს („...*შენ, უფალი ჩემ თანა ხარ*“ – საბანისძე, 1963, გვ. 69). არონზონი, უპირველეს ყოვლისა, ამ ჭეშმარიტებას („*რომ აქვე გვერდით ღმერთია*“) საკუთარი თავის წინაშე გააცხადებს, შემდგომ კი ეს „ნიშანი“-ვერტიკალი მასთან ერთად შეძრულ მკითხველთა გულსა და გონებას მისწვდება. თავისი სულიერი სამყაროს მოხილვის შემდგომ ის ზეცას ადგამს კიბეს და სწვდება საწყისს, ხილვა-ჩვენება გააცოცხლებს მასში ღმერთის, სასუფევლისა და ზეციურ ძალთა „ხსოვნას“; ეს „ხსოვნა“, თავის მხრივ, მიანიშნებს, რომ ღმერთი „უჟამო ჟამია“, ის მარად მყოფობს ვითარცა რწმენა და ვითარცა ხსოვნა. რეალურში ირეალურის ვერწვდომას ხილვა-ჩვენება დაუდებს ზღვარს და „სიბრძნის დარგი“ „*ხესთ მწყობრთა წყობას*“ „შერთვის“ გზად დაისახება.

დასასრულ, ლექსის ბოლო სტროფის პირველი და მესამე ტაეპები იმეორებენ რეალობის, მიწის სიახლოვის, მისი ძალუმად შეგრძნების გამომხატველ ფრაზებს, რომლებიც უკვე ითქვა („*ხეთა ფოთლები მოგვაგონებს ბადეში თევზებს, ყვავილთ კრეფის დროს თქვი: ბაღბაა! აი, ყაყჩო!*“). ამ ტაეპთა შორის კი ზეშთასამყაროს სული ტრიალებს, რადგან ლირიკული გმირის ხილვაში ყოველ „*მწვერვალზე თამაშობს ბავშვი!*“, ხოლო „*ბორცვის მწვერვალს ღმერთზე ხსოვნა აგვირგვინებს*“ (პწკარედი ჩვენია – ნ.გ.). ამ სტროფში ჰორიზონტალური და ვერტიკალური ქმნის ჯვარსახოვნებას, ერთმანეთს მსჭვალავს მიწა და ზეცა, ხორცი და სული. აღნიშნულთან დაკავშირებით ე. ტრუბეცკოი წერს, რომ

„ჰორიზონტალური ხაზი ფასეულია არა თავისთავად, არა თავის განკერძოებულობაში, არამედ ვერტიკალურ ხაზთან შერწყმით. მხოლოდ გაერთიანებასა და შეჯვარდინებაში არის გამართლება როგორც ერთისა, ისე – მეორისა. არც მარტო ვერტიკალი, განყენებული სულიერი სწრაფვა, რომელიც მიწას ზეცისაკენ არ უბიძგებს, არაა ფასეული. რომ სიმადლისაკენ ლტოლვა, სრულიად მოწყვეტილი მიწას, არის უსიცოცხლო და ცივი ზეცა. იგი ისევე შორსაა სისრულისაგან და, ამასთანავე, საზრისისაგან, როგორც ოდენ თავის მოიმედე და თავისი თავით კმაყოფილი მიწა, ცას რომ არის მოწყვეტილი. სისრულე სამყაროული საზრისისა მხოლოდ ცისა და მიწის გაერთიანებით იქმნება“ (ტრუბეცკოი, 1994: გვ. 293).

ლირიკული გმირისათვის მთავარია, გაარკვიოს, რა არის ბორცვის მწვერვალზე. ლექსში ამ კითხვაზე სამგზისაა პასუხი გაცემული; პირველ პასუხს – „*მიშველი ბავშვი ამშვენებს ბორცვის მწვერვალს*“ ან ანგელოზი, ცვლის მომდევნო – მას „*სამოთხის ხსოვნა აგვირგვინებს*“; ეს პასუხიც მოიხსნება და საბოლოოდ იკვეთება, რომ ბორცვის მწვერვალს „*ღვთის ხსოვნა აგვირგვინებს*“. ეს თეოფანიაა, აქ „*უფალი სუფევს*“.

„*ამ „ახალ ჰიმნოგრაფიაში“; რომელსაც პირველივე სიტყვიდან შევყავართ ზღვრულ დამაბულობაში, რომელსაც ბოლო სიტყვამდე ინარჩუნებს, მისი ფორმა იხსნება როგორც სამყაროს ფორმა. კულმინაციის ხელოვნება – ესაა სამყარო ეპიფანიის ფორმით, სამოთხის წარმოჩენის მყისიერი ფორმით, მიგნებული და გაცნობიერებული პოზიცია*“ – წერს ო. სედაკოვა (სედაკოვა, www...).

არონზონის ლექსი ბიბლიური თხრობის პრინციპთა კვალობაზეა აგებული, კერძოდ, აქ არ ჩანს, თუ ვინაა ლირიკული გმირი (მხოლოდ ჩვენ, მკითხველები, მასში თავად პოეტს, არონზონს, ვხედავთ), კონკრეტულად სად მყოფობს, სად მოხდა წარმოსახვა-ხილვა. თავად ლექსიდან არ ჩანს, თუ როდის, რა დროს ეწვია ხილვა-ჩვენება, რა ვითარებაში. მხოლოდ ლექსის სათაური გვაუწყებს, რომ ეს მისტერია დილით ხდება. ლექსის დასაწყისში არც ისაა გამოკვეთილი, რომ ლირიკული გმირი ფეხზე შემართული დგას; ამას მხოლოდ ლექსის ბოლოს ვიგებთ, როდესაც იგი მუხლებზე ეცემა. მკითხველის წარმოსახვაში მისი მზერა შორეთისაკენ, განუსაზღვრელისაკენ, უკანა პლანი-

საკენაა მიმართული, სიღრმეში და ზევით. ამისდა კვალობაზე, ლირიკული გმირის სიტყვა, ფიქრი და განცდა ღრმა ქვეტექსტებითაა დატვირთული და, შესაბამისად, ამოსაცნობი.

ლექსი არაა ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრება, არც ღმერთის ხოტბა-შესხმა. ეს ძიებაა, რომელიც მას ღმერთამდე, ღვთის ხსოვნამდე, ღვთის „გვერდით ყოფნის“ შეგრძნებამდე მიიყვანს. აქ „რწმენა წარმართავს აზრს, იგი მას ექცევა შინაგან საზრისად („შინაგან ფორმად“) და მიზნადაც, ისეთ იმპულსად, რომელიც ყოველგვარ გარდაუვალ ლოგიკურ კანონებზე მაღლა-მდგომია“ (რ. სირაძე, 1987, გვ. 51).

არონზონის მეორე პოეტურ „მეს“ პოეზია განაწმინდავებს. იგი პოეტური სიტყვის გზით სწვდება საკრალურს და ამ საკრალურს რეალობად განიცდის, რეალურში ჭვრეტს. ლექსის კითხვისას ჩნდება გრძნობა, რომ პოეტი ჩვენც, მკითხველებს, საკუთარი ხედვა-ჭვრეტით გვიხსნის ერთობ მიუწვდომელ და ძნელადსახილველ სფეროებს; უფაქიზესი და უღრმესი განცდით, წარმოსახვა-აღქმით გვერდით გვამყოფებს და არა მარტო თავის გვერდით, ღმერთის სიახლოვეს, რომელიც „აქვე“, ჩვენს „გვერდით“ სუფევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არონზონი, ლ. ლექსები, ჟურნალი „ნოვი სვეტ“, <https://litsvet.com/index.php/поэзия/52-леонид-аронзон-стихи> ასათიანი, ლ. (1979). ერთტომეული, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ბიბლიის სიმფონია, <https://bible.by/symphony/word/21/524/>.
- ორბელიანი, ს.-ს. (1949). სიტყვის კონა (სიორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), თბილისი: „სახელგამი“.
- საბანისძე, ი. (1963). „აბოს წამება“, ძეგლები, 1, თბილისი: „საქათველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- სედაკოვა, ო. (2007). ლეონიდ არონზონი: კულმინაციის პოეტი („სტენფორდის ლექციები“). <https://www.olgasedakova.com/Poetica/245>
- სირაძე, რ. (1987). ქართული აგიოგრაფია, თბილისი: „ნაკადული“.
- სირაძე, რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება, თბილისი: „ინტელექტი“.
- ტრუბეტსკოი, ე. (1994). „სიცოცხლის საზრისი“, კრებ. „სიცოცხლის საზრისი“, მოსკოვი: „რესპუბლიკა“ (რუსულ ენაზე).
- ფარულავა, გ. (2005). აკაკი წერეთლის ქრისტოლოგიური მსოფლშეგრძნებისათვის, აკაკის კრებული, II (რედ. ი. ევგენიძე), თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჭანტურიშვილი, რ. (2021). ლეონიდ არონზონი, „დილა“ (რუსუდან ჭანტურიშვილის თარგმანი), ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“, 33(2), თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

References:

- Asatiani, L. (1979). Ertt'omeuli. [One-volume book]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- Aronzon, L. leqsebi. [Poetry]. journal "Novi svet", <https://litsvet.com/index.php/поэзия/52-леонид-аронзон-стихи>
- Bible symphony <https://bible.by/symphony/letter/21/>
- Ch'ant'urishvili, R. (2021). Leonid Aronzoni. "Dila" (Rusudan Ch'ant'urishvilis targmani). [Leonid aronzon, "Morning". translation by R. Chanturishvili]. Literary almanac "Pervi Luch", 33(2). Tbilisi: publishing house of Tbilisi State University.
- Farulava, G. (2005). Ak'ak'i Ts'eretlis kristologiuri msoplshegrdznebisatvis. [On the Christological worldview of Akaki Tsereteli. Collection by Ak'ak'i, II (editor and Yuza Evgenidze)]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- Orbeliani, S.-S. (1949). Sit'q'vis k'ona , S. Iordanishvilis redaktsiita da ts'inasi't'q'vaobit. [Bunch of words. Foreword author and editor S. Iordanishvili]. Tbilisi: "Sakhelgami".
- Sabanidze, I. (1963). "Abos ts'ameba". ["Martyrdom Abo Tbileli"]. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.
- Sedakova, O. (2007). Leonid Aronzoni: k'ulminatsiis poet'i . [Leonid Aronzon: poet of the Culmination]. ("Stanford Lectures") <https://www.olgasedakova.com/Poetica/245>
- Siradze, R. (1987). Kartuli agiografiya. [Georgian hagiography]. Tbilisi: "Nak'aduli".
- Siradze, R. (2008). K'ult'ura da sakhismet'q'veleba [Culture and imaginative Thinking]. Tbilisi: "Int'elekt'i".
- Trubetskoy, E. (1994). "Sitsotskhilis sazrisi" ["Meaning of life"], collection "Meaning of life", Moscow, publishing house "Respublika" (in Russian).